community

The New Apostolic Church around the world

02/2021/GE

იესოს მეორედ მოსვლის იმედი

რედაქციისგან
სულიერი სტაბილურობა

ღვთისმსახურება
ქრისტე- ჩვენი მომავალი

საეკლესიო მოძღვრება
ადამიანის სიცოცხლის
დასასრული

New Apostolic Church
International

რედაქციისგან

3 სულიერი სტაბილურობა

ღვთისმსახურება

4 ქრისტე - ჩვენი მომავალი

საბავშვო კუთხე

10 სავლეს მოქცევა

12 სტუმრად დეივიდთან ეშუში (ბრაზილია)

დოქტრინა

14 ადამიანის სიცოცხლის დასასრული

Global News

18 ცვლილებები მოციქულთა წრეში

Titelfoto: ოლივერ რიუტენი (არქივი, ეკლესიის ადამინისტრაცია ციურიხში, 11. 2018 წ.)
Rückseitefoto: სამხრეთ აფრიკის ახსე

სულიერი სტაბილურობა

ფოტო: საერთაშორისო ახსე

საყვარელო ერთმორწმუნე და-ძმანო,

ჩვენს მეორე სარწმუნოებრივ დებულებაში ღვთის ძის მიმართ რწმენას ვაღიარებთ:

„მე მწამს იესო ქრისტე, მხოლოდშობილი ძე ღმრთისა, უფალი ჩვენი, ჩასახული სულიწმიდის მიერ, შობილი ქალწული მარიამისგან, წამებული პონტოელი პილატესაგან, ჯვარცმული, მოკვდინებული, დამარხული, ქვესკნელში ჩასული, მესამე დღეს მკვდრეთით აღმდგარი, ზეცად ამაღლებული, მჯდომარე არს მარჯვენით მამისა, ყოვლის მპყრობელი მამისა, კვლავაც იქიდან მოვა.“

ეს მრწამსი მთელ ჩვენს ცხოვრებას გასდევს; ის განსაზღვრავს ჩვენი ღვთისმსახურებებისა და საუბრების შინაარსს. იგი ასევე ღმერთთან ჩვენი ურთიერთობის, უსაფრთხოებისა და იმედის გამოხატულებაა. აქედან გამომდინარეობს ჩვენი რწმენის სამი საყრდენი წერტილი. ისინი სულიერ სტაბილურობას მოგვანიჭებენ მთელი წლის განმავლობაში:

- იესოს ვუყვარვარ! მან დაგვიმტკიცა სიყვარული: ის ჩემთვის და შენთვის მოკვდა.
- იესო უძლიერესია! მას ყველაფერი ხელეწიფება. მან სძლია ცოდვას, სიკვდილსა და ჯოჯოხეთს.
- იესო კვლავ მოვა! ის მალე მოვა - ჩვენდა დასახსნელად და ჩვენდა გამოსასყიდად.

საყვარელო ერთმორწმუნე და-ძმანო, ეს სამი საყრდენი წერტილი ორიენტირსა და სტაბილურობას გვანიჭებს ცხოვრებაში - მაშინაც კი, თუ ოდესმე რყევას დაიწყებენ ისინი, როცა ქარი ძლიერად დაგვიბერავს სახეში.

ჩვენი გადაწყვეტილება 2021 წელსაც იგივე რჩება: ჩვენ ორიენტირებულნი ვიქნებით იესო ქრისტეზე. ჩვენი სურვილია, ღვთის ნების შესატყვისად მოვიქცეთ. მოდით, ისევ და ისევ შევამოწმოთ, ჩვენს ცხოვრებაში ყველაფერი იესო ქრისტესთან შესაბამისობაშია თუ არა. და თუ ასე არ არის, მივიღოთ საჭირო ღონისძიებები და გამოვასწოროთ.

უფალი მალე მოვა! ეს არის ჩვენი რწმენა, ჩვენი უსაფრთხოება და წინასწარი სიხარული.

გულითადი მოკითხვებით

ჟან-ლუკ შნაიდერი

ქრისტე - ჩვენი მომავალი

კვირას, 2021 წლის 3 ინავარს, პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა ვინტერთურის თემში (შვეიცარია) წლის დასაწყისთან დაკავშირებული ღვთისმსახურება ჩაატარა.

ფოტო: შვეიცარიის ახსე

ებრ. 12, 1. 2

„მოთმინებით გავლიოთ ჩვენს წინაშე მდებარე სარბიელი. თვალი მივაპყროთ იესოს, რწმენის წინამძღვარსა და სრულმყოფს.“

გულით საყვარელო და-ძმანო, უპ. ყოვლისა, მადლობა მინდა გადავუხადო ვინტერთურის თემს ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ გერმანიის ყველა და-ძმის სახელით იმისათვის, რომ დღეს დილით ასე მიმიღო და ღვთისმსახურების ჩატარების შესაძლებლობა მომცა ჩვენი და-ძმებისათვის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ გერმანიაში.

არ ვიცი, ვინ შეარჩია შესავალი საგალობელი, მაგრამ ამისთვისაც დიდი მადლობა. უნდა ვაღიარო, თავი ძლივს შევიკავე, ხმა რომ არ შემეწყო და ძლიერად არ მემღერა თქვენთან ერთად. ძალიან მომეწონა ის აზრი, რომ ღმერთი განაგრძობს მისი საქმის აღშენებას: „დიდებულად აგებს ღმერთი თავის საქმეს“. ეს არის მისი წლევანდელი პროგრამა. იმასთან დაკავშირებით, რაც წელს გველოდება, ბევრი კითხვის ნიშანი ჩნდება. დაზუსტებით ეს არავინ იცის, მაგრამ ერთი რამ ცხადია: უფალს თავისი პროგრამა აქვს და აგრძელებს მის განხორციელებას. 2021 წელსაც გააგრძელებს იგი თავის გეგმას. გასულ წელთან დაკავშირებით ეს

უკვე ვთქვი და წელსაც შეგნებულად ვიმეორებ: 2021 წელი ხსნის ღვთიური გეგმის ერთი მონაკვეთია. ხსნის გეგმა ადამიანის ცოდვით დაცემის შემდეგ დაიწყო და ახალ შემოქმედებაში დასრულდება, როცა გამოსყიდულნი ღმერთთან იქნებიან და ადამიანები და შემოქმედება ზუსტად ისეთი იქნება, როგორიც ღმერთს სურს. მაშინ დადგება მშვიდობა, სიხარული, ჟრიამული და ნეტარება, ვინაიდან ყველაფერი კვლავ ღვთის ნების შესატყვისი იქნება. ეს არის ხსნის ღვთიური გეგმის მიზანი.

ხსნის ღვთიური გეგმის შემდეგი მოვლენა იესო ქრისტეს მეორედ მოსვლაა. ჩვენ ღრმად გვწამს იმისა, რომ იესო ქრისტე კვლავ მოვა და სასძლო თემს თავისთან წაიყვანს. მას სურს, რომ სასძლო თემი უფრო ადრე შეიყვანოს თავის სასუფეველში, სადაც ყველაფერი ისე იქნება, როგორც მას უნდა. და ჩვენ ღვთის დიდებაში აღმოვჩნდებით. ეს არის ჩვენი მომავალი. ჩვენ ასეთი გადავწყვეტილება მივიღეთ: ჩვენი სურვილია, ვიყოთ იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის მონაწილენი და წლევანდელი დევიზი ამიტომაც ჟღერს ასე: „ქრისტე - ჩვენი მომავალი.“

> იესო არ შემცდარა, როცა მოგიწოდა. მან იცოდა, რომ შენ ამას შეძლებდი.

თავად ქრისტიანობის შიგნითაც კი გვეკითხებიან, ნამდვილად გვყოფნის თუ არა სითამამე იმის საქადაგებლად, რომ იესო ქრისტე მეორედ მოვა. დიახ! ეს არის ჩვენი ამოცანა. ამისთვის არიან მოციქულები მივლინებულნი. როგორც იესო ქრისტეს მაცნეები, ისინი მხოლოდ იმას აკეთებენ, რომ ქრისტეს მოსალოდნელ მეორედ მოსვლას იუწყებიან. ეს არის ღვთის აღთქმა და ის არის და იქნება ჭეშმარიტი! სულ ერთია, თუ რამდენ ადამიანს სწამს ამისა. ღვთიური აღთქმების ჭეშმარიტება ამაზე არ არის დამოკიდებული. გაიხსენეთ წარღვნა! გაიხსენეთ მესიის დაბადება! გაიხსენეთ იესო ქრისტეს აღდგომა! და რამდენმა ადამიანმა იწამა ეს ყოველივე? ერთმა მუჭამ. მაგრამ ამას ღმერთისთვის ხელი არ შეუშლია. მან აღგვითქვა ეს ყოველივე და განახორციელეა კიდეც. ეს იესო ქრისტეს მეორედ მოსვლასაც ეხება. ქრისტე ჩვენი მომავალია. ის მოვა, ხოლო ჩვენ მისი მოსვლისათვის ვემზადებით. აქ არანაირი ეჭვი არ არსებობს. ჩვენ გვწამს ამისი.

ბევრი ადამიანი ამბობს, რომ ეს არის ისტორია, რომელსაც ეკლესია მორწმუნეებს სანუგეშებლად უყვება, რათა აწმყო ასატანი გახადოს: „არ იდარდოთ, ყველაფერი კარგად იქნება! ხვალ უკეთესი დღე დადგება. დარჩით ჩვენთან და ნახავთ“. ჩვენ ნამდვილად არ ვართ მეოცნებეები, რომლებიც თავშესაფარს ოცნებაში ეძებენ, როცა აწმყო, არსებული რეალობა არ მოსწონთ. და-ძმანო, ახალსამოციქულო ქრისტიანი იდეალისტი არ არის, არ არის მეოცნებე. ჩვენ ვართ საქმის მკეთებელი ქალები და კაცები. ჩვენ არ ვოცნებობთ, არამედ მიზანი დავისახეთ: იესო ქრისტეს მეორედ მოსვლა. ამისათვის ვემზადებით. ჩვენ გვაქვს სამოქმედო გეგმა, რომელიც 2021 წელსაც გრძელდება.

იესო ქრისტეს მოსვლისათვის მომზადება იმის სურვილს ნიშნავს, რომ გავხდეთ ისეთები, როგორებიც ღმერთს უნდა რომ ვიყოთ. ამის მაგალითი ჩვენთვის იესო ქრისტეა. ის იყო ადამიანი, რომელიც სრულად შეესატყვისებოდა ღვთის ნებას. გვინდა რა ღვთის სასუფეველში შესვლა, ისეთები უნდა გავხდეთ, როგორებიც ღმერთს უნდა რომ ვიყოთ, და ამიტომაც იმ ადამიანზე ვართ ორიენტირებულნი, ვინც ღვთის ნებას შეესატყვისებოდა: იესო ქრისტეზე. ეს არის ჩვენი სამოქმედო გეგმა. აქაც მოქმედებს ეს დევიზი: „ქრისტე - ჩვენი მომავალი“. მოდით, გავხდეთ ისეთები, როგორიც ის არის, რამეთუ იქ ვიყოთ, სადაც ის არის.

ბიბლიაში ეს მომზადება ხშირად ერთი კარგი მაგალითით არის აღწერილი და სხადასხვა კუთხით განხილული: შეჯიბრების, რბოლის მაგალითით. ქრისტიანი რბოლაში ასპარეზობს, შეჯიბრში იღებს მონაწილეობას. ამით სულიწმიდას იმის ჩვენება უნდა, რომ ქრისტეს მეორედ მოსვლისათვის მომზადება გასეირნება არ არის. ის სულაც არ არის კომფორტული. ის შეჯიბრია. რაც იმას ნიშნავს, რომ მას ძალისხმევა სჭირდება. გულმოდგინება უნდა გამოვიჩინოთ და ენერგია დავხარჯოთ. დარეგისტრირება და მონაწილეობა საკმარისი არ არის. არა, ძალ-ღონე არ უნდა დავიშუროთ, რამეთუ ისეთები გავხდეთ, როგორებიც ღმერთს უნდა რომ ვიყოთ. იმისათვის, რომ ღვთის ნებას შევესატყვისებოდეთ, ძალისხმევა და შრომაა საჭირო. წელსაც ასე იქნება. ამაზე მუდმივად უნდა ვიმუშაოთ. დღევანდელობაში ეს არც თუ ისე მოსწონთ, ვინაიდან უნდათ, რომ ყველაფერი კომფორტული იყოს. მაგრამ იესო ქრისტეს მოსვლისათვის მომზადება კომფორტული არ არის. ის ბრძოლაა, რბოლაში ასპარეზობა.

შეჯიბრის დროს დამარცხებაც არის მოსალოდნელი. შეჯიბრს ყველა ვერ იგებს, იგებს მხოლოდ ერთი. იმისათვის, რომ მოვიგოთ, საუკუნო სიცოცხლის გვირგვინი მივიღოთ, ბოლომდე სიმტკიცე უნდა შევინარჩუნოთ. კიდევ ერთხელ: საკამრისი არ არის

დარეგისტრირება და მონაწილეობა. ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ, ვიშრომოთ და ვიღვაწოთ, რაც არ უნდა მოხდეს. ვინც მანამდე დანებდება, დამარცხდება. ამის გამოხატვა უფრო მკაფიოდ, ვიდრე ეს მაგალითია, შეუძლებელია. ეს შეჯიბრია. ვინც ბოლომდე ვერ გაძლებს, დამარცხდება.

ტიმოთეს მიმართ პავლე მოციქულის მეორე ეპისტოლეში წერია, რომ შეჯიბრს მხოლოდ ის მოიგებს, ვინც წესების მიხედვით იბრძვის (შეადარე 2. ტიმ. 2, 5). ერთი რამ ცხადია: როცა ოლიმპიური თამაშები ტარდება - რომელი კატოგორიაც არ უნდა იყოს -, ის, ვინც წესებს არ დაიცავს, ვერ მოიგებს. ამ წესებს ჩვენ არ ვადგენთ. მათ ღმერთი ადგენს. მათ იესო ქრისტე ადგენს. ამ შეჯიბრის ერთ-ერთი წესი ასეთია: „მოციქულთა მოძღვრებაზე უნდა იყო ორიენტირებული. ისინი სახარებას იუწყებიან.“ მეორეში ნათქვამია: „მხოლოდ მორწმუნეთა თანაზიარებაში ცხონდები. მარტოხელა მიზანს ვერ მიაღწევს.“ მე ამ ორ წესს არ შევცვლიდი. ვინც ამ წესებს არ დაიცავს, შეჯიბრსაც ვერ მოიგებს.

„ქრისტე - ჩვენი მომავალი“: იგი უეჭველად მოვა. მისი მოსვლისათვის რომ მოვემზადოთ, მოდით, ისეთები გავხდეთ, როგორიც ის არის. ეს შეჯიბრია, რომელიც დიდ ენერგიას მოითხოვს. უნდა შ ე ვ ი ნ ა რ ჩ უ ნ ო თ სიმტკიცე, ბოლომდე ვიმუშაოთ და წესები არ დავარღვიოთ.

ებრაელთა მიმართ ე პ ი ს ტ ო ლ ე ს ავტორი აქ ამბობს: „მოთმინებით გავლიოთ ჩვენს წინაშე მდებარე სარბიელი“ - მოთმინებით, რაც გამძლეობას ნიშნავს - „თვალი მივაპყროთ იესოს, რწმენის წინამძღვარსა და სრულმყოფს.“ ქრისტე ჩვენი მომავალია. სწორედ ქრისტეა ის, ვინც ამ მომავლის მიღწევის შესაძლებლობას მოგვცემს; მის გარეშე ამას ვერ შევძლებთ. აქ ნათქვამია, რომ ძალის მისაღებად და გამარჯვების მოსაპოვებლად იესოს უნდა მივაპყროთ თვალი. წელს ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: მოდით, ყოველთვის ქრისტე გვყავდეს მხედველობის არეში, მას ვუყუროთ, რამეთუ იგია ჩვენი რწმენის „წინამძღვარი“. მან ამოგვირჩია ჩვენ. მე არ გადამიწყვეტია, რომ ზეცაში მინდა. ის იყო პირველი. მან მიგვიწვია მე და შენ და საუკუნოდ მასთან ყოფნის შესაძლებლობა მოგვცა. მან ეს სრულიად შეგნებულად გააკეთა. იგი ჩვენს დაბადებამდე გვიცნობდა. მან ძალიან კარგად იცოდა, რანი ვართ, რას ვაკეთებთ, რა შეგვიძლია და რა არ შეგვიძლია. მან გადაწყვიტა, რომ ჩვენ ამას შევძლებთ და მიზანს მივაღწევთ. მაშ, მოდით, თვალი მივაპყროთ ჩვენი „რწმენის წინამძღვარს“. ის არ შემცდარა, როცა მოგიწოდა. მან იცოდა, რომ შეძლებ, თუკი მოინდომებ. მან სიცოცხლე დათმო, მსხვერპლად შეეწირა იმისათვის, რომ შენი გამოსყიდვა გამხდარიყო შესაძლებელი. ის გამუდმებით გაძლევს იმდენ ძალას, რამდენიც გჭირდება. და-ძმანო, მაშ, თვალი მივაპყროთ იესოს! მასში ვპოვებთ იმ ძალას და ენერგიას, რომელიც შეჯიბრში გასამრჯვებლად გვჭირდება.

ეკლესიაში - როგორი განსახვავებულებიც არ უნდა ვიყოთ - ერთი და იგივე მიზანი გვაქვს. ეს ერთიანობას უწყობს ხელს.

ეს არაჩვეულებრივი ძალაა, მიმზიდველი ძალა. იესო გვაძლევს ამ ძალას, რამეთუ ჩვენი სარბიელი განვლოთ. ამაში მისი სიყვარულის მიმზიდველი ძალა გვეხმარება. უყურე მას! გახსოვდეს მისი სიყვარული! გახსოვდეს მისი მსხვერპლი! გახსოვდეს მისი სრულყოფილება! გახსოვდეს მისი არსი! გახსოვდეს მისი დიდება! თუ ინტენსიურად ვიმუშავებთ იესო ქრისტეს არსზე, ეს ყოველთვის მოგვცემს იმის სტიმულს, რომ გავაგრძელოთ ჩვენი სრბოლა-მაშინაც კი, თუ ეს ძალიან გაგვირთულდება, თუ ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. როცა იესო ქრისტეზე ვფიქრობ და მასთან თანაზიარებას ვეძიებ, მაშინ არც იმის მიზეზი მიჩნდება, რომ ფარ-ხმალი დავყარო. პირიქით, მე ყოველთვის მაქვს ჩემი სარბიელის გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ი ს მიზეზი, ვინაიდან ისეთი მინდა ვიყო, როგორიც ის არის და საუკუნოდ მასთან ყოფნა მინდა. ეს არის გამოსავალი; ეს არის უდიდესი რამ; ეს არის ჩვენი მოტივაცია; ეს არის ჩვენი ძალა. მაშ, მოდით, მუდამ იესო ქრისტეს მივაპყროთ თვალი.

თვალის მიპყრობა კიდევ იმას ნიშნავს, რომ არ არის აუცილებელი არსებულ გარემოცვაზე კონცენტრირება: სირთულეებზე, სხვებზე, იმაზე, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება. გაიხსენეთ პეტრე, რომელიც წყალ-წყალ მიდიოდა: ვიდრე იესოს უყურებდა, გამოუვიდა კიდეც. მაგრამ, როგორც კი ტალღებსა და ქარიშხალს შეხედა, სულით დაეცა და ჩაძირვა დაიწყო. ჩემი რჩევა 2021 წლისათვის ასეთია: მოდით, თვალი მივაპყროთ იესო ქრისტეს! და არა სირთულეებს, არა სხვა ადამიანებს,იმას, თუ რას ამბობენ ისინი, რას ფიქრობენ, რას აკეთებენ. მოდით, შეგნებულად მივაპყროთ თვალი იესო ქრისტეს. ის ძალას მოგვცემს გზის გასაგრძელებლად.

ეპისკოპოსი რუდოლფ ფესლერი (შვეიცარია)

მაშ მოდით, თვალი მივაპყროთ იესო ქრისტეს და არა იმდენად ჩვენს მიღწევებს. ის არის ჩვენი რწმენის „სრულმყოფი“. და თუ მხოლოდ იმაზე ვიფიქრებთ, თუ რა წარმატებებს ვაღწევთ, რას ვიმსახურებთ და რას ვწირავთ, ამას ვერ შეძლებთ.

კიდევ უფრო ნაკლები შანსი გვექნება, თუ ჩვენს პრობლემებს, სისუსტეებსა და ნაკლოვანებას ჩვენი სულით დაცემის საშუალებას მივცემთ. იესო ქრისტეა ჩვენი რწმენის „სრულმყოფი“. მის სასუფეველში ჩვენ მისი მადლის წყალობით მოვხვდებით. ეს კი თავმდაბლობას გვანიჭებს, მეორე მხრივ კი - იმედსა და ნდობას. უფლის დღეში ჩვენი მონაწილეობა სხვათა აზრზე არ არის დამოკიდებული, არც ჩვენს მიღწევებზე, არამედ მხოლოდ და მხოლოდ წყალობაზე. მაშ, შეგნებულად ვეძიოთ მისი წყალობა. ის არის ჩვენი რწმენის „სრულმყოფი“. მოდით, მუდამ იესო ქრისტე გვყავდეს მხედველობის არეში და არა სირთულეები ან საკუთარი წარმატებები.

ნურც გაჭირვებაზე გავამახვილებთ ყურადღებას. ზოგჯერ ადამიანებში ეს ტენდენციად იქცევა ხოლმე. ძალიან ბევრს ვფიქრობთ საკუთარ თავზე. მერე კი გული გვწყდება და თავი გვეცოდება. ყველაფერი ისე ცუდად არის, ყველგან უსამართლობაა. ეს არ დაგვიმსახურებია: „რატომ მე, სულ მე და ყოველთვის მე?“ ადრე ბევრად უკეთესი იყო, დღეს ყველაფერი ისე გართულდა და აშ.

ეს მოთქმა, საკუთარი თავის შეცოდება - და-ძმანო, და ამას ხაზგასმით ვამბობ - დროისა და ენერგიის ფლანგვაა. მოდით, თვალი მივაპყროთ იესო ქრისტეს! ის გვეძახის და გვეუბნება: „მოდი, შენ ეს შეგიძლია!“ დაე, მისმა სიყვარულმა მიმზიდველად იმოქმედოს ჩვენზე! მოდით, მივენდოთ მის სიყვარულს, წყალობასა და ყოვლისშემძლეობას. ის სრულყოფს მის საქმეს. ის ჩვენი მომავალია. ის იმის გარანტიას გვაძლევს, რომ, თუკი გავყვებით მას, ამას შევძლებთ. ქრისტეა ჩვენი მომავლის გარანტი.

ჩვენ მომავლის ადამიანები ვართ. მაგრამ ის არჩევანი - იესო ქრისტე -, რომელიც სამომავლოდ გავაკეთეთ, ჩვენს აწმყოსაც განსაზღვრავს. თუ აქტიურად მოვემზადებით და ყოველთვის ისეთები ვიქნებით, როგორებიც ღმერთს უნდა რომ ვიყოთ, ეს ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაზეც მოახდენს გავლენას. ამ შემთხვევაშიც არ ვართ მეოცნებეები, არამედ გვინდა, რომ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში კონკრეტულად იესო ქრისტეზე ვიყოთ ორიენტირებულნი. მოდით, დღესვე შევასრულოთ მისი ნება და მისი მაგალითისამებრ მოვიქცეთ - რთულ პერიოდებშიც. გასულ წელს ბევრი კრიზისი იყო. აქ, ევროპაში, კორონაზე ვლაპარაკობთ, დედამიწის სხვა კუთხეში კი ხალხს სხვა პრობლემებიც აწუხებს, რომლებიც არანაკლებ ცუდია. ადამიანები სხვადასხვაგვარად რეაგირებენ ამაზე. მაგ., ავიღოთ ქრისტიანები: სამაგალითო ქრისტიანებიც არიან. მართლაც, ბევრი კარგი რამის მოყოლა შეიძლება მათზე. მაგრამ აქა-იქ საპირისპიროსაც ვხედავთ. კარგად არის ნათქვამი, რომ კრიზისულ სიტუაციებში ჩანს, თუ რა აქვთ გულში ადამიანებს, რა ამოძრავებს მათ, რით ცოცხლობენ. ერთი რამ მაწუხებს - და არა მხოლოდ კონკრეტულად ჩვენს ეკლესიაში, არამედ ზოგადად ქრისტიანებში, იმათთან მიმართებაში, ვინც ამბობს, რომ ქრისტიანია: შიგადაშიგ ვხედავ, თუ რა სწრაფად იმატებს „მე“-ს მნიშვნელობა კრიზისულ სიტუაციებში; წინა პლანზე საკუთარი პერსონა, საკუთარი აზრი, საკუთარი კეთილდღეობა და

პირველმოციქული წმიდა ზიარებას ატარებს განსვენებულთათვის

„საერო ხელისუფლებასთან“ დადებითი ურთიერთობა გვაქვს (ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმო 2. 4. 10) და ვემორჩილებით მას. ამას ჩვენ, როგორც ახალსამოციქულო ქრისტიანები, ჩვენს მეათე სარწმუნოებრივ დებულებაში ვაღიარებთ. ჩარჩოებს ღვთის მცნებები ქმნის. ვიდრე ხელისუფლების, მთავრობის დებულებები და განკარგულებები ღვთის ნებას არ ეწინააღმდეგება, ჩვენ ვემორჩილებით მათ.

ზოგიერთებმა მკითხეს, თუ რატომ ვატარებ ნიღაბს. მათ მინდა ვუპასუხო: „იმიტომ, რომ ახალსამოციქულო ქრისტიანი ვარ.“ ეს მთავრობის განკარგულებაა. საფუძველი იმისა, უნდა დავემორჩილო თუ არა ამ რეგულაციას, არის ღვთის მცნება - და არა ჩემი პირადი აზრი, არა ჩემი პირადი შეხედულება. გირჩევთ, რომ ამასთან დაკავშირებით შესაბამისი თავი წაიკითხოთ კატეხიზმოში. ჩვენ ხელისუფლების რეგულაციებზე ვართ ორიენტირებულნი, თუკი ისინი საღმრთო რჯულს არ ეწინააღმდეგებიან. ეს ჩემი აზრი კი არ არის, არამედ ღვთის მცნებაა.

საკუთარი ინტერესები გამოდის. ზოგიერთებში იმდენად დიდი ხდება „მე“, რომ უეცრად იესო პატარავდება. „მე“ იმდენად დიდი ხდება, რომ „ჩვენ“ სრულიად ავიწყდებათ. ეს სხვადასხვა შედეგებს იწვევს, რაც მე საფიქრალს მიჩენს.

საყვარელო და-ძმანო, მოდით, იესო ქრისტესთვის, მისი მეორედ მოსვლისთვის მოვემზადოთ. დღეს ჩვენი ორიენტირია ჩვენი უფლისა და მოძღვრის იესო ქრისტეს მაგალითი - ნებისმიერ სიტუაციაში, რა მდგომარეობაც არ უნდა იყოს. იესო ქრისტეს მაგალითი მარტივად შეიძლება აღვწეროთ: ის სიყვარულის კაცი იყო. ის მიუტევებდა; ის ეხმარებოდა; ის უზიარებდა; ის მსახურებდა - „ძე კაცისა არ მოსულა იმისათვის, რომ მას ემსახურონ, არამედ იმისათვის, რომ თავად ემსახუროს“ (მარკ. 10, 45); ის მსხვერპლად ეწირებოდა მოყვასის გამო და მის ტანჯვას იზიარებდა. ეს არის ჩვენი მაგალითი, რთულ დროშიც.

გუშინ ისეთი რამ წავიკითხე ბიბლიაში, რამაც ძალიან იმოქმედა ჩემზე. იესოს ჰკითხეს, უნდა გადაეხადათ თუ არა კეისრისათვის ხარკი. იესომ უპასუხა: „მიაგეთ კეისარს კეისრისა, ხოლო ღმერთს - ღმრთისა“ (მათ. 22, 21). ამის წინაისტორია თქვენ იცით. ფარისევლებს მისთვის მახის დაგება უნდოდათ. და, ბუნებრივია, მისი პასუხი არ მოეწონათ. იმის იმედი ჰქონდათ, რომ იესო იტყოდა: არ გადაუხადოთ კეისარს ხარკიო, რაც ნამდვილად მოეწონებოდა მათ. სხვათა შორის იესოს ამით იმის ჩვენება უნდოდა, რომ ჩვენ, როგორც კატეხიზმოში წერია, სახელმწიფოსთან,

ჩვენ მთელი არსებით იესო ქრისტეზე ვართ ორიენტირებულნი. კიდევ ერთხელ: ჩვენ იდეალისტები არ ვართ, არც მეოცნებეები და უფლის მოსვლამდე საქმის მკეთებელ ქალებად და კაცებად ვრჩებით და ჩვენს ამქვეყნიურ მომავალს ვგეგმავთ. არ ვიცი, უფალი ხვალ მოვა თუ მხოლოდ ათ ან ოც წელიწადში. ჩვენ მის მოსვლამდე ვიმუშავებთ, ამიტომ ჩვენს ამქვეყნიურ მომავალსაც ვგეგმავთ. ამ გეგმებში ქრისტესაც ვრთავთ და მათ მისი მოძღვრების საფუძველზე, სახარების მიხედვით, ვავითარებთ. სამსახურში, ქორწინებაში, ბავშვების აღზრდაში იესო ქრისტეს მოძღვრებას ვიცავთ. მოდით, მისი ნების შესატყვისად მოვიქცეთ. ეს მიწიერთან, მატერიალურთან ჩვენს დამოკიდებულებასაც ეხება; აქაც იესო ქრისტეს მცნებას ვიცავთ. ეს მოყვასთან ჩვენს ურთიერთობას ეხება; ჩვენ სახარების წესებს ვიცავთ. ესეც ამაში შედის. „ქრისტე - ჩვენი მომავალი“. ეს ჩვენი არჩევანია და აქტიურად ვემზადებით მისთვის, და მას დიდი ძალისხმევა სჭირდება, მაგრამ ჩვენ ბოლომდე დავითმენთ. ძალას იესო ქრისტესგან ვიღებთ. ჩვენ მხოლოდ მას ვუყურებთ. ის არის ჩვენი რწმენის „წინამძღვარი“ და „სრულმყოფი“. ის ჩვენი მაგალითია, მოტივაციაა. მასზე ვართ ორიენტირებულნი. ეს გავლენას ახდენს ჩვენს აწმყოზე და იმ გეგმებზე, რომლებსაც ამქვეყნიური მომავლისათვის ვისახავთ. ჩვენს წლევანდელ დევიზთან დაკავშირებით ბოლო პუნქტი მინდა აღვნიშნო, რომელიც ავირჩიე და რომელსაც სამხარეო მოციქულებიც დაეთანხმნენ: „ქრისტე - ჩვენი მომავალი“. შეგნებულად არ ვამბობთ: „ქრისტე - ჩემი მომავალი“, არამედ ვამბობთ: „ქრისტე - ჩვენი

მომავალი“. სწორედ აქ მოქმედებს ღვთიური წესები. ხსნის მიღწევა ადამიანს მხოლოდ მორწმუნეთა თანაზიარებაში შეუძლია. მარტოხელები ვერ მოიგებენ შეჯიბრს. ეკლესიის შიგნით ჩვენ ყველა ძალიან განსხვავებულნი ვართ ნებისმიერი თვალსაზრისით. შეხედულებები, სიტუაციები, ცხოვრებისეული პირობები - ყველაფერი ეს ძალიან განსხვავებულია. მაგრამ, მოდით, წელსაც შეგნებულად ვიყოთ იმაზე ორიენტირებულნი, რომ ერთი მიზანი გვაქვს და მის მისაღწევად ყველა ერთ გზაზე ვდგავართ. ამის განხილვა ახლა არ მინდა, ამისთვის მთელი წელი გვაქვს. მაგრამ ეს ყველაზე მნიშვნელოვანია. მოდით, უმთავრესზე ვიყოთ კონცენტრირებულნი: ეკლესიაში - როგორი განსახვავებულებიც არ უნდა ვიყოთ - ერთი და იგივე მიზანი გვაქვს და მის მისაღწევად ერთ გზაზე უნდა ვიაროთ. ეს ერთიანობას უწყობს ხელს.

ერთი პუნქტი, რომელიც ძალიან ძვირფასია ჩემთვის: „ქრისტე - ჩვენი მომავალი“. ეს ჩემი მომავალია, მაგრამ ასევე ჩემი შვილების. ჩვენ ხომ ვზრუნავთ მათზე?! წარმომიდგენია მშობლები, რომლებსაც პატარა შვილები ჰყავთ და საკუთარ თავს ეკითხებიან: „რა გამოვა ჩვენი შვილებისგან? რა მომავალი ექნებათ? რა იქნება შემდგომში?“ და-ძმანო, ქრისტე მათი მომავალიც არის, ახალი თაობის მომავალი, ახალგაზრდების, ბავშვების. იმ შემთხვევაშიც კი, როცა გარემოებები სრულიად და ყველანაირად სხვაგვარია, ერთი რამ მაინც რჩება: ქრისტე მათი მომავალიც არის! ქრისტე ასევე არის გზა, რომელიც მათ ამ მომავალში მიიყვანს. ქრისტე მათთვისაც საუკეთესო გამოსავალია. მისი მოძღვრება, მისი სახარება. ის მათი რწმენის „წინამძღვარი“ და „სრულმყოფიც“ არის. ჩვენს შვილებსაც ეხება ეს: ქრისტე მათი მომავალია!

მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ისინი მიხვდებიან, რომ ქრისტე ჩვენი მომავალიც არის. ჩვენ ვერ დავაჯერებთ ჩვენს შვილებს იმაში, რომ ქრისტე მათი მომავალია, თუ კი ვერ იგრძნობენ ისინი, ვერ დაინახავენ, ვერ მიხვდებიან, რომ ქრისტე მათი მშობლების მომავალიც არის. იმის საცოდნელად, რომ ქრისტე მათი მომავალია, იესო ქრისტეს უნდა იცნობდნენ - მის წარსულსა და მომავალს. იმის საცოდნელად, რომ ქრისტე მათი მომავალია, იესო ქრისტეს, როგორც კაცს, ისე უნდა იცნობდნენ; იცნობდნენ მის საქმეებს, მის არსს, როცა იგი დედამიწაზე ცხოვრობდა. ამას ისინი ეკრანზე ვერ ნახავენ. ვერც სოციალურ მედიაში გაიგონებენ მასზე რამეს. ეს მათ მშობლებისგან უნდა მოისმინონ. აქ მე მშობლებს მოვუწოდებ: არ არის საჭირო, უქადაგოთ ბავშვებს - მე ეს არასოდეს გამიკეთებია, მაინც არანაირი შანსი არ გაქვთ -, მაგრამ შიგადაშიგ მოუყევით ხოლმე იესოზე: „იცი რა, ეს მე ერთ ისტორიას მახსენებს. ერთხელ იესომ ესა და ეს გააკეთა.“ სრულიად მოულოდნელად, სრულიად ჩვეულებრივ, რათა დაინახონ, რომ ეს მხოლოდ ისტორია კი არ არის, არამედ მამას, დედას სწამს, რომ უფალი იესო არსებობდა და მოღვაწეობდა. საუბარი უბრალოდ ასე წაიყვანეთ: „ჰო, მართლა, უფალმა იესომ ერთხელ ეს გააკეთა, ეს თქვა, ასე მოიქცა, ასეთი რეაქცია გამოავლინა.“ ეს საკვირაო სკოლის მასწავლებლის საქმე კი არ არის, არამედ მშობლების საქმეა! მოდით, შვილებს დავანახოთ, რომ იესო ქრისტე ჩვენთან არის, და ვუთხრათ: „იცი რა, იესოს თვალსაზრისით, ახლა ეს ასე უნდა შევაფასოთ. ის რომ აქ იყოს ახლა, ასე მოიქცეოდა, ამას იტყოდა.“ კიდევ ერთხელ: ეს მშობლების საქმეა და არა საზოგადოების, არა ეკლესიის, არა მასწავლებლების, არამედ მშობლების.

ქრისტე ჩვენი შვილების მომავალია - ეს სანუგეშო სიტყვებია. იმაზე აპელირების მიზნით, რომ ეს ნამდვილად ასეა, მათ უნდა დაინახონ და იგრძნონ, რომ ქრისტე ჩვენი მომავალიც არის. მაშინ შევძლებთ მათთვის ამის გადაცემას.

„ქრისტე -ჩვენი მომავალი“ - ეს ეხება ეკლესიას, ეს ეხება ჩვენს შვილებს, ეს ეხება ყველა ადამიანს. ჩვენ ხომ ვიცით, რომ იესო შრომობს, რათა ყველა ადამიანს მიეცეს იმის შესაძლებლობა, რომ მის მიერ იქნას გამოსყიდული. ეს არის მისეული ხსნის გეგმის მიზანი. ამან ჩვენს ცხოვრებასა და ადამიანებთან ჩვენს ურთიერთობაზეც უნდა მოახდინოს გავლენა. ნურასოდეს დავივწყებთ იმას, რომ უფალ იესოს ამ ადამიანის თავისთვის მოპოვება სურს, რაოდენ ბოროტი და ცუდიც არ უნდა იყოს იგი. ჩვენი ამოცანაა სხვასაც მივცეთ ღვთიური სიყვარულის განცდის შესაძლებლობა. მან უნდა იცოდეს, რომ ღმერთს უყვარს იგი. ამის გაგება კი მას მხოლოდ ჩვენი მეშვეობით შეუძლია. ქრისტე ჩემი მოყვასის მომავალიც არის.

ძირითადი აზრები

ჩვენი მომავალი ქრისტეშია.

- ჩვენი მიზანი ქრისტესთან ყოფნაა.
- ამის მისაღწევად ძალას და მოტივაციას ქრისტესგან ვიღებთ.
- ჩვენს მიერ არჩეული მომავალი ჩვენს ყოფასაც განსაზღვრავს.

სავლეს მოქცევა

მოციქულთა საქმე 9, 1-19-ის მიხედვით

სავლე იესოს მოწაფეებს სდევნიდა და ემუქრებოდა, ბევრიც შეიპყრო. ერთ დღესაც იგი მღვდელმთავართან მივიდა და დამასკოს სინაგოგებში ახალი მოძღვრების მიმდევართა შეპყრობისა და მათი იერუსალიმში გადაყვანის უფლებამოსილება მოითხოვა.

სავლე გზას გაუდგა. დამასკოს რომ მიუახლოვდა, „უეცრად მოეფინა ნათელი ციდან“. სავლე მიწაზე დაეცა და ხმა გაიგონა, რომელმაც უთხრა: „სავლე, სავლე, რად მდევნი მე?“

სავლემ ჰკითხა: „ვინ ხარ შენ, უფალო?“

„მე ვარ იესო, რომელსაც შენ სდევნი. ადექი და შედი ქალაქში და გეტყვიან, რაც უნდა გააკეთო.“ კაცები, რომლებიც სავლეს ახლდნენ, უსიტყვოდ იდგნენ. ხმა კი ესმოდათ, მაგრამ ვერავის ხედავდნენ.

სავლე წამოდგა. როცა თვალები გაახილა, ვერაფერი დაინახა; ის დაბრმავდა. მისმა თანმხლებლებმა ხელი მოჰკიდეს და დამასკოში წაიყვანეს. სამი დღის განმავლობაში სავლე ვერაფერს ხედავდა, არც ჭამდა და არც სვამდა.

დამასკოში იყო ერთი მოწაფე, სახელად ანანია. იესო გამოეცხადა მას და უთხრა: „ანანია!“

ანანიამ უპასუხა: „აქ ვარ, უფალო.“

იესომ უთხრა: „ადექი და მიდი ქუჩაზე, რომელსაც ჰქვია სწორი და იუდას

სახლში იკითხე ტარსუსელი კაცი, სახელად სავლე. სავლეს შენ მლოცველს ჰპოვებ. ღმერთმა მას უკვე ჩვენებაში დაანახა, რომ შენ, ანანია, მიხვალ მასთან, ხელებს დაასხამ და თვალები აეხილება.“
ანანიამ უპასუხა: „უფალო, ბევრი რამ მსმენია ამ კაცის შესახებ. ბევრი ბოროტება უყო შენს წმიდებს იერუსალიმში. დამასკოსთვისაც მიიღო მან მღვდელმთავრებისგან უფლებამოსილება, რომ ყველა შეიპყროს, ვინც შენს სახელს ახსენებს.“
მაგრამ იესომ მიუგო: „წადი, ვინაიდან სავლე ჩემი რჩეული ჭურჭელია. მან ჩემზე უნდა იქადაგოს წარმართების, მეფეებისა და ისრაელიანების წინაშე. მე ვაჩვენებ მას, რამდენი უნდა იტანჯოს ჩემი აღიარების გამო.“
ანანია მივიდა იმ სახლში, დაასხა ხელები სავლეს და უთხრა: „ძმაო სავლე, იესომ, რომელიც დამასკოს გზაზე გეჩვენა, გამომგზავნა, რათა თვალი აგეხილოს და აღივსო სულიწმიდით.“
მაშინვე აეხილა მას თვალი. ადგა და მოინათლა. მიიღო საჭმელი და მომაგრდა.
რამოდენიმე დღის შემდეგ იგი უკვე იესოზე ქადაგებდა.

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 08. 2019 წ.; ილუსტრაციები: მირელა ფორტუნატი

სტუმრად დეივიდთან ეშუში (ეშუ-ბრაზილია)

გამარჯობათ, მე დეივიდი ვარ.

ეს ჩვენი ეკლესიაა ეშუში, ის ჩვენი სახლიდან ჩანს. ამ ეკლესიაში მოვინათლე და აღვიბეჭდე სულიწმიდით.

დედაჩემი და ჩემი ბიძაშვილი საკვირაო სკოლის მასწავლებლები არიან. იმ დღეს, როცა ეს ფოტო გადაგვიღეს, დედაჩემი გაკვეთილს ატარებდა. მხოლოდ რამოდენიმე ბავშვი ვართ თემში: ჩემი ბიძაშვილი ფლეჯისონი, ისრაელი და მე.

როცა თემში ვინმეს დაბადების დღე აქვს, ყველა ერთად ვიკრიბებით და ვულოცავთ იუბილარს. ვცდილობთ, რომ სიყვარულით მოვეპყროთ ერთმანეთს და უფალთან თანაზიარებაში ვიცხოვროთ რწმენით.

ეს ჩემი ოჯახია: მამაჩემი ფრენსისკო სამხ. ხუცესია და ჩვენს თემს კურირებს. ასევე დედაჩემი ვალდეჩე, ჩემი ძმა მარკუსი და მე.

ჩემი სკოლა ახლოს არის ჩემს სახლთან, მე მესამე კლასში დავდივარ. ყოველდღე დედაჩემს მივყავარ სკოლაში. უკან ჩემი მასწავლებელი აპარესიდა დგას. წინ ჯდომა მირჩევნია, ვინაიდან უკან ხმაურია. იმ დღეს ჩვენს მასწავლებელს ჩვენი საეკლესიო ჟურნალის ერთ-ერთი ნომერი გადავეცი.

კლასში 28 მოწაფე ვართ; აქ ჩემს თანაკლასელებს ხედავთ. ორი გვაკლია ...

ჩემი საყვარელი საჭმელია კუსკუსი, ჩრდილო-აღმოსავლეთ ბრაზილიის კერძი, რომელიც მოშუშული სიმინდის ფანტელებით კეთდება. მიყვარს ასევე შემწვარი ხორცი. ძალიან მიყვარს ცხოველები.

ეს მეგია, მეცხვარე ძაღლი. ის ჩემი ძმის არის, მაგრამ მეც ხშირად ვეთამაშები ან სასერნოდ დავდივართ. მყავს კიდევ ერთი პატარა სასაცილო თევზი. ცხოველები ძალიან მიყვარს.

თავისუფალ დროს ველოსიპედით სიარული მომწონს. სურათზე იტამაგის წყალსაცავთან მხედავთ, ეს არის ტბა, რომელიც ქალაქის განაპირას მდებარეობს. ის ადგილი, სადაც ჩემი ველოსიპედი დგას, ახლა წყლით არის დაფარული, რადგან დიდი წვიმები იყო. როცა ჩვენს მხარეზე ლაპარაკობენ, გვალვა, კაკტუსები და გამხმარი ხეები ახსენდებათ. მაგრამ ეს ასე არ არის! ჩვენ წვიმების სეზონიც გვაქვს, როცა ყველაფერი მწვანეა და ლამაზი.

ბევრი მეგობარი მყავს. და მე ძალიან მიყვარს ჩემს ბიძაშვილებთან ყოფნა. აქ ჩვენ ჩემი მშობლების მამულში ვიმყოფებით. ზოგჯერ კარგი მოსავალი მოდის და მაშინ საკმაო მარაგი გვაქვს ოჯახისთვის და ზოგი რამის გაყიდვაც კი შეგვიძლია.

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 08. 2019 წ.; ფოტოები: პირადი, © nakornchaiyajina, © Tim UR, © msk.nina, © atoss, © kovaleva_ka - stock.adobe.com

ფოტო: ©Photographee.eu - stock.adobe.com

ადამიანის სიცოცხლის დასასრული

კონტრაცეფცია და ორგანოების დონაცია, შვილების გაჩენის სურვილი და ევთანაზია: სიცოცხლესა და სიკვდილთან დაკავშირებული კითხვა თავისთავად ჩნდება და ძალიან პირადულია. იმისათვის, რომ მორწმუნეებმა გადაწყვეტილება დამოუკიდებელად მიიღონ, სამეცნიერო ნაშრომი „ადამიანის სიცოცხლის საწყისი და დასასრული“, რომელიც მათ საორიენტაციოდ გამოადგებათ, არსებულ მდგომარეობას ახალსამოციქულო რწმენის თვალსაზრისით განიხილავს.

ჩვენი რწმენის თვალსაზრისით, ადამიანი ღმერთმა თავის ხატად შექმნა და, ამდენად, იგი ნაწილია როგორც ხილული შემოქმედების, ასევე - უხილავის. ადამიანის სულიერი ბუნება უკვდავია. ხორცი ანუ სხეული არსებობას კვერცხუჯრედისა და სპერმატოზოიდის შერწყმის შედეგად იწყებს და სიკვდილით ასრულებს.

20-ე საუკუნის მეორე ნახევრიდან ბიომედიცინაში არსებული ცოდნა ადამიანის სიცოცხლის დასაწყისსა და დასასრულის მართვაში ჩარევის შესაძლებლობას იძლევა. იმის გამო, რომ ადამიანი, როგორც ღვთის ხატება, განსაკუთრებულ დაცვას იმსახურებს, თავისთავად ჩნდება კითხვა ადამიანის სიცოცხლის ზუსტ დასაწყისსა და დასასრულთან დაკავშირებით, ვინაიდან, როგორც ღვთის მცნება მოგვიწოდებს, არ მოხდეს მკვლელობა. ჩვენი რწმენის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ისიც, თუ როდის ხდება ადამიანის სიცოცხლის გასულიერება და როდის ეყრება ერთმანეთს სული და სხეული გარდაცვალების მომენტში. აქ განსვენებულთა არსთან მჭიდრო კავშირი შეიმჩნევა.

საკუთარი პასუხისმგებლობა და ორიენტირება

იმისათვის, რომ გადაწყვეტილების მიღების დროს მორწმუნეები დავაკვალიანოთ, ადამიანის სიცოცხლის დასაწყისსა და დასასრულში ჩარევის ბიოსამედიცინო მეთოდებსა და შესაძლებლობებს ჩვენი რწმენის პოზიციიდან გავაშუქებთ. კონკრეტულად, როცა საქმე ეხება კონტრაცეფციისა და ხელოვნური განაყოფიერების მეთოდებს, გასათვალისწინებელია ის, მოხდება თუ არა ამ დროს ადამიანის სიცოცხლის განვითარების ხელშეშლა თუ მოკვდინება. ამ კონტექსტში განიხილება აგრეთვე ადამიანის სიცოცხლის დასასრული, როცა ხელოვნურად განაყოფიერებული კვერცხუჯრედების განადგურება ან საშვილოსნოში მზარდი ემბრიონის მოცილება ხდება. ევთანაზიის ან იმ ადამიანის ორგანოების ამოღების დროს, რომლის ტვინიც უკვე მკვდარია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ საქმე არ მივიდეს აქტიური სიცოცხლის შემოკლებამდე ან სულაც მკვლელობამდე.

დასაწყისთან დაკავშირებული პოზიცია

„ადამიანის სიცოცხლის საწყისი“ განხილულ იქნა საეკლესიო ჟურნალ „კომუნიტის“ წინა გამოცემაში. ახალსამოციქულო ეკლესიის ოფიციალური პოზიცია ამასთან დაკავშირებით ასეთია:

- იმისათვის, რომ ადამიანი, როგორც ღვთის ხატება, საუკეთესოდ იქნას დაცული, ეკლესია ადამიანის სიცოცხლეს განაყოფიერების მომენტიდან პატივისცემით უყურებს და უარს ამბობს მის მოკვლაზე. ამ სიცოცხლეს სრული ადამიანური ღირსება გააჩნია.
- ის მომენტი, თუ როდის მოხდება გასულიერება, ღმერთის ხელშია და ადამიანური თვალთახედვით მისი დადგენა შეუძლებელია. თუმცა ეკლესიის ვარაუდით გასულიერებული ადამიანური სიცოცხლის ყველაზე საუკეთესო დაცვა ხორციელდება მაშინ, როცა გასულიერება სპერმისა და კვერცხუჯრედის შერწყმის მომენტში ხდება.
- ეკლესია იმ ბიოსამედიცინო და მკურნალობის მეთოდებს სცნობს, რომელთა მეშვეობითაც განაყოფიერებული კვერცხუჯრედი წინასწარი განზრახვით არ ნადგურდება (არ ხდება შერჩევა).
- ეკლესიამ იცის, რომ არსებობს ბუნებრივი, ბიოლოგიური შერჩევა, როცა განაყოფიერებული კვერცხუჯრედის (ემბრიონის) საკმაო რაოდენობა ადამიანის ჩარევის გარეშეც იღუპება.
- სამედიცინო თვალსაზრისით შესაძლებელია. ამგვარი შეზღუდვა ღვთისადმი ნდობით უნდა იქნას მიღებული, ვინაიდან ადამიანს სიცოცხლეს ღმერთი აძლევს და აუცილებელია მისი პატივისცემა.

გარდაცვალების პროცესი

ადამიანის სიცოცხლის ბოლო გარდაცვალების პროცესია, რომელიც ხორციელი სიკვდილით სრულდება. მიზეზებიდან გამომდინარე, გარდაცვალების პროცესი შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს ან სიკვდილი წამებში დადგეს. სიკვდილის დადგომისას ბიოლოგიური სიცოცხლე წყდება და უკვდავი სული ხორცს ეყრება.

ინტენსიური თერაპიის შესაძლებლობების გაფართოების წყალობით, დაახ. 1960 წლიდან, კომატოზურ პაციენტებს სიცოცხლეს ხელოვნურად უნარჩუნებენ. მაგრამ ახლა გაჩნდა კითხვა, თუ

ფოტო: © სერგეი ჩირკოვი - stock.adobe.com

ფოტო: ©freshidea - stock.adobe.com

ზუსტად როდის დადგება სიკვდილი, ახლებურად და სულ სხვაგვარად, ვინაიდან აუცილებელია დადგინდეს, თუ რა ვითარებაში შეიძლება სიცოცხლის შემანარჩუნებელი ღონისძიებების შეწყვეტა.

მოყვასის სიყვარულიდან გამომდინარე, ზოგიერთ ადამიანს უნდა, რომ მათი სიკვდილის მერე ორგანოების დონაციით დაეხმაროს სხვებს. აქაც სიკვდილის ახალი განსაზღვრება გახდა სჭირო, რადგან ორგანოების ამოღება მხოლოდ სიკვდილის შემდეგ არის ნებადართული, მაგრამ მათი ამოღება მანამდე უნდა მოხდეს, ვიდრე ისინი ფუნქციონირებენ.

გარდაცვალების პროცესში ტკივილების ან სიკვდილთან ბრძოლის შემსუბუქების დროს ახლობლები და ექიმები ევთანაზიას განიხილავენ - „ღირსეული სიკვდილის“ თვალსაზრისით. ამგვარი მოსაზრებანი ნაწილობრივ მომავლის უზრუნველყოფასაც მოიცავს, მაგ., პაციენტის მიერ წინასწარ გაცემული განკარგულების შემთხვევაში.

გადაწყვეტილებების მიღება დასახელებულ სფეროებში დღეს იურიდიულად დადგენილ ჩარჩოებში უნდა მოხდეს. გადაწყვეტილებების მიღებაში ეკლესია ადამიანებს ჩვენი რწმენის პოზიციიდან გამომდინარე ეხმარება.

სამედიცინო თვალსაზრისი

ბიოლოგიურ სიკვდილს გარდაცვალების პროცესი უძღვის წინ. ის განსაკუთრებული მოვლენა არ არის, არამედ ორგანოების ფუნქციის თანდათანობითი დაკარგვაა, ვიდრე ცალკეულ უჯრედებამდე. მაგ., შემაერთებელი ქსოვილის უჯრედებს ტვინის სიკვდილისა და გულის გაჩერების შემდეგაც შეუძლიათ იცოცხლონ რამოდენიმე კვირით.

ტვინი სხეულის მართვის მთავარი ორგანოა. მისი სიკვდილის მერე ყველა ორგანო და ქსოვილი თანდათანობით კვდება. ტვინი, როგორც წესი, გულის საბოლოო გაჩერებიდან რამოდენიმე წუთში კვდება.

დღეს არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ ხელოვნურ სუნთქვაზე მყოფი პაციენტების ტვინის, ტვინის ღეროს ჩათვლით, ფუნქციის სრული და შეუქცევადი შეწყვეტა დაფიქსირდეს იმ დროს, როცა გული ჯერ კიდევ მუშაობს. ამით საქმე იქამდე

მივიდა, რომ მედიცინა სიკვდილის კრიტერიუმად გულის სიკვდილს კი არ მიიჩნევს, არამედ ტვინის სიკვდილს. იმისათვის, რომ ტვინის სიკვდილის ფაქტი მაქსიმალური სიზუსტით დადგინდეს, ორმა დამოუკიდებელმა სპეციალისტმა მოცემულ დროის ინტერვალში გამოკვლევის ყოვლისმომცველი შედეგები უნდა წარადგინოს.

ტვინის სიკვდილი განისაზღვრება როგორც მდგომარეობა, როცა დიდი ტვინის, ნათხემისა და ტვინის ღეროს ერთიანი ფუნქციის შეუქცევადი შეწყვეტა ხდება. ამასთანავე, ხელოვნური სუნთქვის კონტროლის მეშვეობით გულ-სისხლძრღვთა სისტემის ფუნქციის ხელოვნურად შენარჩუნება მიმდინარეობს. ვეგეტატიური მდგომარეობა განსხვავდება ტვინის სიკვდილისგან და თავსებადია სიცოცხლის ხანგრძლივად შენარჩუნებსთან. აქ საუბარია ტვინში სისხლის მიმოქცევის ხანგრძლივად დარღვევის შედეგზე, როდესაც ტვინის ღერო ჯერ კიდევ ფუნქციონირებს. პაციენტებს შეიძლება თვალები ჰქონდეთ ღია, თუმცა საგნებს ვერ აფიქსირებდნენ. ლაპარაკი და გარეგნულ გამღიზიანებლებზე რეაქცია შეუძლებელია. მაგრამ რამოდენიმე რეფლექსი, როგორიცაა წოვის და ტაცების რეფლექსები, შენარჩუნებულია.

იურიდიული თვალსაზრისი

იურიდიული თვალსაზრისით, ბევრ ქვეყანაში სიკვდილის ფაქტი მაშინ დასტურდება, როცა ტვინის სიკვდილი სამედიცინო დასკვნის საფუძველზე დგინდება.

რელიგიური შეხედულებები

რაც შეეხება სიცოცხლის დასასრულს, ბევრი რელიგიისათვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია გარდაცვალების პროცესი და სასულიერო პირებისა და ახლობლების მომაკვდავის გვერდით ყოფნა, ვიდრე სიკვდილის ზუსტი დრო. გარდაცვალებასთან და სხეულის მიბარებასთან დაკავშირებით სხვადასხვა კონფესიებში ანუ რელიგიებში გარდაცვლილისათვის შუამდგომლობისა და მისი გამოსყიდვის წესები არსებობს.

როცა საქმე ორგანობის დონაციას ან გვამის კრემაციას ეხება, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სიკვდილის შემდეგ სიცოცხლესთან დაკავშირებულ წარმოდგენებს.

ქრისტიანულ რწმენაში გარდაცვალება ხშირად განმარტებულია, როგორც საიქიოში გადასვლა. წამყვანი ქრისტიანული ეკლესიები აღიარებენ ტვინის სიკვდილის კრიტერიუმს და მხარს უჭერენ ორგანოების დონაციას. ის მომენტი, როცა სული სხეულს ტოვებს, ვერ დგინდება.

ახალსამოციქულო ეკლესიის პოზიცია ადამიანის სიცოცხლის დასასრულთან დაკავშირებით

- ზუსტი დროის აღნიშვნა, თუ როდის შორდება სული სხეულს, შეუძლებელია. ამასთან მიმართებაში არც ბიბლიაშია მოცემული რაიმე მითითება და არც მეცნიერული მეთოდი არსებობს, რომელიც ამის გამოკვლევის შესაძლებლობას მოგვცემდა. გარდა ამისა, სიცოცხლე და სიკვდილი ისეა ერთმანეთში გადახლართული, რომ სულისა და სხეულის გაყრის მომენტის მკაცრი დადგენა თვითნებური ჩანს.
- იმისათვის, რომ ადამიანი, როგორც ღვთის ხატება, საუკეთესოდ იქნას დაცული, ეკლესია სრულ პატივისცემას ავლენს ადამიანის სიცოცხლის მიმართ ტვინის სიკვდილამდე და უარყოფს ისეთ ჩარევებს, რომლებიც აქტიურ სიკვდილს იწვევს.
- ეკლესია მიიჩნევს, რომ ტვინის სიკვდილთან ერთად სულისა და სხეულის გაყრაც ხდება. მკვდარი სხეულის მიმართ ღირსეული მოპყრობა ბევრი რელიგიის ტრადიციას წარმოადგენს და იმ სიტუაციებსაც ეხება, როცა ტვინის სიკვდილის შემდეგ სუნთქვისა და სისხლის მიმოქცევის ხელოვნური შენარჩუნება ხდება ორგანოების ტრანსპლანტაციის მიზნით.

შეჯამება

გასულიერების მომენტისა და იმ წამის ზუსტი განსაზღვრა, როცა სული სხეულს ტოვებს, შეუძლებელია. ადამიანის სიცოცხლის დაცვის მიზნით ეკლესია მიიჩნევს, რომ გასულიერება განაყოფიერების მომენტში ხორციელდება და, რომ ტვინის სიკვდილთან ერთად გასულიერებული სიცოცხლე სრულდება. აუცილებელია ამ სიცოცხლის დაცვა და მისი დასრულება აქტიური ჩარევით არ შეიძლება.

სატიტულო ფურცელი
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი, იუბერლანდშტრასე 243, 8051 ციურიხი / შვეიცარია
შპს ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა, ფრანკფურტერშტრასე 233, 63263 ნოი-იზენბურგი / გერმანია
რედაქტორი: პეტერ იოჰანინგი

ცვლილებები მოციქულთა შორის

2020 წლის მეორე ნახევარში მოციქულთაგან მხოლოდ რამოდენიმე მოციქული იქნა დამსახურებულ პენსიაში გაშვებული და ორდინირებული - მოგზაურობის შეზღუდვების გამო, რაც კორონა-ვირუსმა გამოიწვია, სამხ. მოციქულები ადგილებზე მოქმედებდნენ პირველმოციქულის დავალებით. მთელი მსოფლიოს მასშტაბით დღეს 348 მოციქული მოღვაწეობს.

ფოტო: კანადის ახსე, სამხ. აფრიკის ახსე, კონგოს დრ-ის ახსე (სამხრეთ-აღმოსავლეთი), ზამბიის ახსე

ზემოთ: მოციქული ლაიონელ მეიერი
მარცხნივ: მოციქული ჯონათან კარლ შტურმი და მოციქული არნო მარტიგი

2020 წლის 31 დეკემბრისათვის დიაკვნისა და მღვდლის სასულიერო თანამდებობაზე სულ 250. 000 მღვდელმსახური მსახურებდა. ისინი მოციქულებთან ერთად მთელი მსოფლიო მასშტაბით 57. 800 თემის ერთმორწმუნე და-ძმებზე ზრუნავენ. თანამედროვე მდგომარეობით, აქტიურ მსახურებას ეწევა 325 მოციქული, 7 სამხ. მოციქულის თანაშემწე, 15 სამხ. მოციქული და პირველმოციქული.

ორდინაციები

2020 წლის 20 დეკემბერს სამხ. მოციქულმა მარკვოლმა მოციქულებად აკურთხა ეპისკოპოსი ჯონათან კარლ შტურმი (1976 წ.), რომელსაც დასავლეთ კანადაზე მზრუნველობა დაევალა, და სამხ. მახარებელი არნო მარტიგი (1971 წ.) ცენტრალური და აღმოსავლეთი კანადისათვის. ამ უკანასკნელს, როგორც სამხ. მოციქულს, პასუხისმგებლობა დაეკისრა ასევე კონგოს რესპუბლიკის, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის, რუანდასა და ჩადის და-ძმებზე.

დამსახურებულ პენსიაში გაშვება

სამხ. მოციქულმა ჯონ კრილმა 2020 წლის 20 სექტემბერს, კვირას, მოციქული ლაიონელ მეიერი (1955 წ.) დამსახაურებულ პენსიაში გაუშვა. მოციქული მეიერი ათი წლის განმავლობაში მუშაობდა დღევანდელ სამხ. მოციქულის სამოღვაწეო რეგიონში აფრიკის სამხრეთით. ეს მღვდელმოქმედება სამხ. მოციქულმა ბარბერტონში (სამხ. აფრიკა) ჩაატარა.

2020 წლის დეკემბერს, კვირას, სამხ. მოციქულმა მარკ ვოლმა დამსახურებულ პენსიაში გაუშვა სამხ. მოციქულის თანაშემწე ჯონ სობოტკა (1956 წ.). 17 წელზე მეტ ხანს მოღვაწეობდა სამხ. მოციქული ჯ. სობოტკა აზიაში, აფრიკასა და კანადაში. პირველმოციქული ჟან-ლუკ შნაიდერი სიამოვნებით ჩავიდოდა პირადად, მაგრამ კორონა-პანდემიის გამო მას კანადაში გამგზავრების უფლება არ ჰქონდა.

შვებულებაში გაშვება / სასულიერო თანამდებობის დატოვება

ოქტომბერში პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა მოციქული ბეიკერ ჩაკვანა (ზამბია) ოჯახური მდგომარეობის გამო ერთი წლით შვებულებაში გაუშვა. მოციქულმა გაბინ მვემენამ (კონგოს დრ, სამხრეთ-აღმოსავლეთი) ნოემბრის ბოლოს პირადი მიზეზების გამო სასულიერო თანამდებობა დატოვა. საერთაშორისო ეკლესიის ხელმძღვანელი დათანხმდა მის ამ გადაწყვეტილებას.

სამხ. მოციქულის სამოღვაწეო რეგიონები

ახალსამოციქულო ეკლესია დაყოფილია 15 სამოღვაწეო რეგიონად, რომლებსაც სამხ. მოციქულები ხელმძღვანელობენ. პასუხისმგებელი მოციქულები არიან:

- მაიკლ დევიდ დეპნერი (1961 წ.) - კონგოს დრ-ის დასავლეთი
- მიხაელ ერიხი (1959 წ.) - სამხრეთ გერმანია
- იოსებ ოპემბა ეკჰუია (1969 წ.) - აღმოსავლეთ აფრიკა
- ედი ისნუგროჰო (1963 წ.) - სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია
- ლოენარდ რიჩარდ კოლბი (1956 წ.) - აშშ
- რიუდიგერ კრაუზე (1960 წ.) - ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ გერმანია
- ჯონ ლესლი კრილი (1956 წ.) - სამხრეთ აფრიკა
- ენრიკე ედუარდო მინიო (1960 წ.) - სამხრეთ ამერიკა
- ვოლფგანგ ნადოლნი (1956 წ.) - ბერლინ-ბრანდენბურგი
- პეტერ შულტე (1963 წ.) - წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილი
- კუბუბა სოკო (1969 წ.) - ზამბია, მალავია, ზიმბაბვე
- რაინერ შტორკი (1958 წ.) - დასავლეთ გერმანია
- შედში შისეკედი (1972 წ.) - კონგოს დრ, სამხრეთ-დასავლეთი
- მარკ ვოლი (1959 წ.) - კანადა
- იურგ ცბინდენი (1958 წ.) - შვეიცარია

ზოგიერთ სამხ. მოციქულს სამხ. მოციქულის თანაშემწეები ეხმარებიან, რომლებიც, როგორც წესი, მათთვის შერჩეულ ქვეყნებში მოღვაწეობენ:

- დევიდ დევერაი (1959 წ.) - ინდოეთი
- ფრანკ შტეფან ძური (1959 წ.) - კანადა
- ჯონ უილიამ ფენდტი (1957 წ.) - აშშ
- არნოლდ ნდაკონდვა მჰანგო (1957 წ.) - მალავია
- ჟოაო ვანუკე მისელო (1965 წ.) - ანგოლა
- მანდლა პატრიკ მკვანაზი (1963 წ.) - სამხრეთ აფრიკა
- რობერტ ნზამბა (1962 წ.) - ზამბია

მოციქული გაბინ მვემენა

სამხ. მოციქულის თანაშემწე ჯონ სობოტკა

მოციქული ბეიკერ ჩაკვანა

ქრისტე - ჩვენი მომავალი

„მოთმინებით გავლიოთ ჩვენს წინაშე მდებარე სარბიელი. თვალი მივაპყროთ იესოს, რწმენის წინამძღვარსა და სრულმყოფს.“

ებრ. 12, 1. 2

New Apostolic Church
International